

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი N 4

ქ. ვანი თავისუფლების N 65

28 მარტი 2018 წელი

11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: კობა ტოხვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, თენგიზ დვალიშვილი, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, თამარ შენგელია, ტარიელ ბარამიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: ტარიელ ბარამიძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულების გაერთიანების“ დირექტორი - **ზვიად მინაშვილი.**

ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „სულორი ვანი“- ს დირექტორი - **როინ კანკაძე.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **კობა ტოხვაძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა.

მომხს: ტარიელ ბარამიძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა) იპ სასპორტო გაერთიანების დაწესებულების სამსახურის ინფორმაცია 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხს:ზვიად მინაშვილი.

3. ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბ „სულორი ვანის“ სამსახურის ინფორმაცია 2018 წლის საფეხბურთო სეზონისთვის მზადების შესახებ.

მომხს: თამილა თავაძე

4. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცება.

მომხს: კობა ტოხვაძე

5.სხვადასხვა.

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ბატონმა ტარიელ ბარამიძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და განმარტა, რომ რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2016 წლის 30 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N31 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 6800,0 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 2126,9 ათასი ლარის მოცულობით.

გადაწყვეტის:

კომისიამ განიხილა და მოიწონა ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

მომხრე-7

წინააღმდეგი- არცერთი

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N2/

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ბატონმა ზვიად მინაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა) იპ სასპორტო გაერთიანების დაწესებულების სამსახურის ინფორმაცია 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ 2017 წელში სულ გაწეული ხარჯი არის 300 404 ათასი ლარი. კერძოდ;

სპორტული ღონისძიებები 35 144 ათასი ლარი
მივლინება 4 536 ათასი ლარი
სპორტული ინვენტარი და სამოსი 6 797 ათასი ლარი
ხელფასი 232 995 ათასი ლარი.
მცირეფასიანი ინვენტარი 2 423 ათასი ლარი
ინვენტარი და კომპიუტერები 3 987 ათასი ლარი.

სამეურნეო საქონელი 4 645 ათასი ლარი
კომუნალური ხარჯი 7 265 ათასი ლარი.
ბენზინი 1 398 ათასი ლარი.
სხვა ხარჯები 1 216 ლარი.

კომისიის წევრებისგან დაისვა კითხვები: რამდენი მოსწავლე და რამდენი მწვრთნელი გყავთ სხვადასხვა სპორტულ ჯგუფებში?

მომხსენებელმა ბატონმა ზვიად მინაშვილმა განმარტა, რომ მოსწავლეთა სპორტსმენტა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ჯგუფების წევრთა მწვრთნელების რაოდენობაა: მძლეოსნობა 16 მოსწავლე და 2 მწვრთნელი, რაგბი 32 მოსწავლე და 2 მწვრთნელი, ჭადრაკი 65 მოსწავლე და 2 მწვრთნელი, კალაძბურთი 12 მოსწავლე და 1 მწვრთნელი, კრივი 8 მოსწავლე და 1 მწვრთნელი, ჭიდაობა სამბო 25 მოსწავლე და 1 მწვრთნელი, თავის ჭიდაობა 8 მოსწავლე და 1 მწვრთნელი, ქართ. ჭიდაობა 11 მოსწავლე და 1 მწვრთნელი, ბერძ.რომ. ჭიდაობა 9 მოსწავლე და 1 მწვრთნელი, ძიუდო 22 მოსწავლე და 2 მწვრთნელი, ველოსპორტი 3 მოსწავლე და 1 მწვრთნელი და ფეხბურთი 122 მოსწავლე და 6 მწვრთნელი.

კომისიის თავმჯდომარისა და წევრების მხრიდან სხვა კითხვები არ დაფიქსირებულა.

გადაწყვეტის:

კომისიამ განიხილა და მოიწონა ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სასპორტო გაერთიანების დაწესებულების სამსახურის ინფორმაცია 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

/ დანართი N3/

მოისმინეს:

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ქალბატონმა თამილა თავაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბ „სულორი ვანის“ სამსახურის ინფორმაცია 2018 წლის საფეხბურთო სეზონისთვის მზადების შესახებ და მომხსენებელმა განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „სულორი-ვანი“ს 2018 წლის სამტატო ნუსხა განისაზღვრება 9 თანამშრომლით თვის სახელფასო ფონდი შეადგენს 4600 ლარს.

კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა კობამ დასვა კითხვა, რამდენი ფეხბურთელი ირიცხება ყოველწლიურად გუნდში ?

ქალბატონმა თამილამ განმარტა, რომ ამ ეტაპზე საფეხბურთო კლუბ „სულორი ვანი“-ს გუნდში ირიცხება 20 ფეხბურთელი, 16 ხელფასიანი და 4 უხელფასო, ფეხბურთელთა თვის სახელფასო ფონდი შეადგენს 9070 ლარს. საფეხბურთო კლუბ „სულორი ვანი“-ს მოსამზადებელი ეტაპი დაიწყო 2018 წლის 25 იანვარს, გუნდმა თებერვლის თვეში გაიარა 10 დღიანი შეკრება დაბა ურეკში, ასევე მიიღო მონაწილეობა დასავლეთის თასის გათამაშებაში.

გუნდისთვის შეძენილი იქნა სრული ეკვიპირება, ბუცები, 2 წყვილი სათამაშო ფორმა და სხვა სპორტული ინვენტარი რაც გუნდს ესაჭიროება სრული მომზადებისათვის. ასევე 2018 წლის 30-ე ეროვნული ჩემპიონატის ლიგა -3 გათამაშება დაიწყო 5 მარტს.

გადაწყვიტეს:

კომისიამ განიხილა და მოიწონა ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბ „სულორი ვანი“ სამსახურის ინფორმაცია 2018 წლის საფეხბურთო სეზონისთვის მზადების შესახებ.

/დანართი N4/

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა კობამ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცება, კერძოდ;

აპრილი - ივნისი

1. ა(ა) იპ ვანის მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის დირექტორის ანგარიში 2017 წელს გაწეული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ.
2. ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო, განათლების და ტურიზმის განვითარების ცენტრის დირექტორის ანგარიში 2017 წელს გაწეული და მიმდინარე მუშაობის შესახებ.
3. ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „აიეტის“ ანგარიში 2017 წელს გაწეული და მიმდინარე მუშაობის შესახებ.

გადაწყვიტეს:

კომისიამ განიხილა და მზარი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეოთხე საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად.

/დანართი N 5/

მომხრე - 7
წინააღმდეგი - არცერთი

მეხუთე საკითხად სხვადასხვაში კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო, რომ კომისიის რიგითი სხდომა გაიმართება ყოველი თვის მე - 4 კვირის სამშაბათ დღეს, ხოლო თუ დასვენება იქნება ამ დღეს სხდომა გაიმართება მომდევნო სამუშაო დღეს.

გადაწყვეტის

კომისიამ მოიწონა და მხარი დაუჭირა კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ საკითხს.

მომხრე - 7
წინააღმდეგი - არცერთი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კობა ტოხვაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ
საქმეთა კომისიის თავმჯდომარე